# საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის

# ბრძანება №28

# 2015 წლის 8 აპრილი

# ქ. თბილისი

## „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ცენტრალური აპარატის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2012 წლის 15 ივნისის №90 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

**მუხლი 1**

„საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ცენტრალური აპარატის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2012 წლის 15 ივნისის №90 ბრძანებით (სსმ, 010320020.22.038.016119, 21.06.2012) დამტკიცებულ შინაგანაწესში შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილება:

**1. მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„2. სამუშაო დრო განისაზღვრება დილის 09.00 სთ-დან 18.00 სთ-მდე. სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელთან შეთანხმებით 15 წლამდე ასაკის ბავშვთა მშობელებისათვის სამუშაო დრო შესაძლებელია დაიწყოს დილის 09.00 სთ-დან 10.00 სთ-მდე და შესაბამისად დასრულდეს 18.00-დან 19.00 სთ-მდე. სამუშაო საათების ყოველდღიური ხანგრძლივობაა 8 საათი.".

**2. მე-10 მუხლის:**

**ა) მე-4 პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის $4^1$ პუნქტი:**

„$4^1$. მოსამსახურეს ეკრძალება სამსახურში ალკოჰოლური სასმელის მიღება ან ნასვამ მდგომარეობაში გამოცხადება.“;

**ბ) მე-11 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„11. სამინისტროს ადმინისტრაციულ შენობაში, გარდა სპეციალური მოსაწევი ადგილისა/ადგილებისა თამბაქოს მოწევა აკრძალულია.".

**მუხლი 2**

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**საქართველოს სასჯელაღსრულებისა**
**და პრობაციის მინისტრი** **გიორგი მღებრიშვილი**